



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„მეტალურგია“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
22, 23 აპრილი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
21 მაისი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მეტალურგია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის დოქტორი მეტალურგიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0715 მექანიკა და ლითონის საქმე
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება №557 28.09.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ომარ კიკვიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პარმენ ყიფიანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლექსო ტორიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მეტალურგია, როგორც ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, საქართველოში ვითარდება მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან, თუმცა რკინის შენადნობების წარმოებას ჩვენს ქვეყანაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე შავი მეტალურგიის მასშტაბები არსებითია ფეროშენადნობების და ფოლადის პროდუქციის წარმოების სახით. ვითარდება ასევე ფერადი მეტალურგია. მეტალურგიული წარმოების პროდუქცია დღესაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის (ფეროშენადნობების 4% სეგმენტი საერთაშორისო ბაზარზე, უნაკერო მილების ექსპორტი, სხვადასხვა ტიპის ლითონკონსტრუქციები, ლითონის პროდუქცია მშენებლობისათვის, სათადარიგო ნაწილების წარმოება ავტომობილებისათვის).

ინჟინერ-მეტალურგების მომზადება სათავეს იღებს 1923 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე საქართველოში ცნობილი მეტალურგისა და მათემატიკოსის გიორგი ნიკოლაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეტალურგების მომზადება ხდებოდა ჯერ სამთო-მეტალურგიულ, ხოლო შემდეგ - ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. 1949 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე მიღებული იქნა ორი აკადემიური ჯგუფი მეტალურგიული სპეციალობით: „შავი ლითონების მეტალურგია“ და „ლითონების წნევით დამუშავება“. 1950 წელს დაემატა კიდევ ერთი სპეციალობა: „შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება“. მეტალურგიის ფაკულტეტი ცალკე ჩამოყალიბდა 1952 წელს. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა 2006 წელს, ორი ფაკულტეტის - ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის და

მეტალურგიის ფაკულტეტების ბაზაზე. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“, ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის „მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის“ ბაზაზე.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“ შემუშავებულია მეტალურგიის დარგში აღიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით, ასევე უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „მეტალურგია“, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №557 გადაწყვეტილებით მენიჭა აკრედიტაცია;

სადოქტორო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი ფორმით: პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე; პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა 50 კრედიტია და ითვალისწინებს მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებს, სავალდებულოა კვლევითი კომპონენტის შესრულება. 1 კრედიტი შეადგენს 25 საათს.

აღსანიშნავია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღმნიშვნელი ქართულ ენაზე და ინგლისურ ენაზე განსხვავებულადაა ჩაწერილი პროგრამაში და თვითშეფასებაში.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N301604-ის საფუძველზე (30 მარტი 2021 წ.) სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტისათვის შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ომარ კიკვიძე (თავმჯდომარე), მამუკა ბენაშვილი (წევრი), პარმენ ყიფიანი (წევრი), ლექსო ტორიაშვილი (წევრი).

სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 22,23 აპრილს ეგრედ წოდებულ ჰიბრიდულ რეჟიმში. მატერიალურ - ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ში. აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი იყო 1 საბაკალავრო, 1 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალიერება და შეხვედრები მიმდინარეობდა სამივე პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში. სამივე საფეხურის პროგრამების ერთდროულად განხილვამ საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა ისინი, როგორც მეტალურგიაში უმაღლესი განათლების მიღების ერთი სისტემის ნაწილები, დაგვენახა საუნივერსიტეტო განათლების საფეხურებს შორის ლოგიკური კავშირი და განვითარება.

შეხვედრები გაიმართლა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სადოქტორო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

- სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცოდნა და უნარები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანებზე/მოწყობილობებზე;
 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის სფერო(ები) კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, რომელშიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
 - ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, მეტალურგიული პროცესების, ლითონების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების სრულფასოვნად შესწავლისათვის, სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნას სემინარები ან არჩევითი კურსები;
 - განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსის სილაბუსში „მეცნიერული კვლევა მეტალურგიაში“;
 - უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოხდეს მატერიალური რესურსების განახლება, სრულყოფა და მოდერნიზება;
 - მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის ბიუჯეტში პროგრამაში ჩართული პერსონალის უცხო ენების ცოდნის გასაუმჯობესებლად და სხვა ტიპის (მივლინება, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვ.) დაფინანსების მისაღებად. ასევე პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის;
 - მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასება პროგრამის მდგრადობის კუთხით;
 - პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან განვითარების ტენდენციის გამოკვეთის მიზნით;
- ჩასწორდეს დანართი 14-ში წარმოდგენილი მონაცემები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმჯობესია მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღმნიშვნელი ინგლისურად იყოს Doctor of Engineering in Metallurgy;

- უმჯობესია მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღმნიშვნელი ქართულად იყოს ინჟინერიის დოქტორი მეტალურგიაში;
- სასურველია დაზუსტდეს ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგის მიღწევის გზები;
- სასურველია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დოქტორანტურაში ჩასარიცხავად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრებისას;
- სასურველია სასწავლო კურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს მეტალურგიული წარმოების მანქანა/მოწყობილობებს, მათი გაანგარიშების მეთოდებს, ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საკითხებს და რიცხვითი გაანგარიშების მეთოდებს;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში (პ.3.7), დაზუსტდეს დისერტაციის საჯარო დაცვა დოქტორანტურის დებულების მუხლი 14-ის შესაბამისად;
- სასურველია საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ გახორციელებაში უზრუნველყოს უფრო მეტი ახალგაზრდა კადრების ჩართვა;
- სასურველია პერსონალის ინგლისური ენის შესწავლის კუთხით დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები;
- სასურველია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პერიოდულად, როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

დღეისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ამზადებს ინჟინერიის დოქტორებს მეტალურგიაში. პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრია პროდუქციის წარმოებასთან მჭიდრო კავშირის და პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილებით. აღსანიშნავია პროგრამაზე მიღებული დადებითი გამოხმაურებები იტალიის, გერმანიის, ესპანეთის, ავსტრიის, თურქეთის უნივერსიტეტებიდან.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, კერძოდ:

შეიცვალა პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების ფორმები, შეიცვალა ყველა სასწავლო კურსის სილაბუსის კოდი, სასწავლო კურსების სილაბუსებში შეიცვალა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ერთი კრედიტის რაოდენობა კი განისაზღვრა 25 საათით.

დაზუსტდა სწავლის შედეგები და პროგრამის მიზანი. პროგრამის ფორმას, დანართის სახით დაემატა პროგრამის სწავლის შედეგი და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა. სასწავლო კურსს „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკას და სწავლების თანამედროვე მეთოდებს დაემატა სემინარი. შესაბამისად, შეიცვალა საკონტაქტო საათების განაწილება. შეიცვალა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა- სავალდებულო გახდა უცხოური ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან გამოცდის ჩაბარება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“ შედგენილია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით: საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; განათლების და მეცნიერების სტრატეგია; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახულ მიზნებს და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც უნდა გამოუმუშავდეს სტუდენტს პროგრამის გავლის შემდეგ, კერძოდ პროგრამის მიზნებია: მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ინტერდისციპლინარულ მიდგომებზე, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით, აგრეთვე არსებული გამოწვევების ახლებური გააზრების, კვლევის და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის უნარებით აღჭურვილი, მეტალურგიის კვალიფიციური მკვლევარები; შეასწავლოს უახლესი მეტალურგიული პროცესების მოდელირება, დაპროექტება, ლითონების და შენადნობების მიღება თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით; მაღალკვალიფიციური და მოტივირებული სპეციალისტების მომზადება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის პოტენციალის და მეტალურგიული წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას ახალი სპეცდანიშნულების ლითონების და შენადნობების მიღების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების ინოვაციური ალტერნატიული ტექნოლოგიის და კვლევის მეთოდების შექმნით.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ერთადერთი პროგრამაა საქართველოში, რომელიც ამზადებს მკვლევარებს მეტალურგიაში, უზრუნველყოფს ახალგაზრდა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ორგანოზაციებს, ლითონის პროდუქციის მწარმოებელ მეტალურგიული პროფილის საწარმოებს.

დასაქმების ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ: ყველა გამოკითხული (100%) ნაწილობრივ ეთანხმება მოსაზრებას „საქართველოში არსებული უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ კადრებს საჭირო ცოდნითა და უნარით“; გამოკითხულ დამსაქმებელთა 22% უპირატესობას ბაკალავრიატის საფეხურს ანიჭებს, მაგისტრატურას-33%, ბაკალავრიატს და მაგისტრატურას-33%, ხოლო დოქტორანტურას-11%; ბოლო წლების მონაცემებით ძალიან მცირეა დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა რაოდენობა მეტალურგიის პროგრამით, მეტალურგიის უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალად ახალგაზრდა სამეცნიერო-

პედაგოგიური კადრების მოზიდვა უაღრესად აქტუალურია.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. ისინი შესაბამისობაშია ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამოქმედო გეგმასთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან. სასურველია პროგრამის მიზნები მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და მეტი ყურადღება დაეთმოს მანქანა/მოწყობილობებს, ლითონის პროდუქციას.

პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებულია ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო კვლევების მდიდარი გამოცდილება მეტალურგიაში, მეტალურგიული პროფილის მსხვილ ქარხნებში განხორციელებული კვლევითი სამუშაოების შედეგები. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართულები იყვნენ დამსაქმებლები ჯორჯიან მანგანუმიდან, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ინტერვიუს დროს პროგრამას მაღალი შეფასება მისცა დამსაქმებელმა მასალათმცოდნეობისა და მეტალურგიის ინსტიტუტიდან. ბოლო წლებში შესრულებული სადისერტაციო ნაშრომები დაკავშირებულია კონკრეტული ლითონის პროდუქციის წარმოებასთან, ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან, წარმოების პრობლემების გადაწყვეტასთან და ემსახურება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება პროგრამაში ჩაწერილია, როგორც ინჟინერიის დოქტორი მეტალურგიაში, ხოლო თვითშეფასებაში-მეტალურგიის დოქტორი. კვალიფიკაციის დასახელება ინჟინერიის დოქტორი მეტალურგიაში შეესაბამება კვალიფიკაციების ზოგად აღმნიშვნელს კვალიფიკაციათა ჩარჩოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული

გეგმა 2018-2024 წწ.;

- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დებულება;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრის ოქმი;
- ფაკულტეტის ვებ გვერდი <https://gtu.ge/Ctmf/>
- ინტერვიუ ვიზიტისას;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №695 ბრძანების შესაბამისად. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად, ტექნიკურ და დარგობრივ თეორიულ ფართო ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მეტალურგია“ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს, რაც დგინდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის მეშვეობით. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი

და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მერვე დონის აღმწერთან.

მოდულიზირებულ პროგრამაში დაზუსტდა სწავლის შედეგები და პროგრამის მიზნები, პროგრამას დაემატა მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა დანართის სახით. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის 10 შედეგი, რომლებიც მეტწილად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს 0715 დეტალური სფეროს აღმწერს. პროგრამის სასწავლო კომპონენტში გათვალისწინებულია, მხოლოდ სავალდებულო, შვიდი სასწავლო კურსი ჯამური მოცულობით 50 კრედიტი. 3 სასწავლო კურსი (სულ 20 კრედიტი) სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის უნართან და პროგრამის მიზნებთან. ამავე დროს, 4 სავალდებულო სპეციალური კურსი (სულ 30 კრედიტი) მკვეთრად ამცირებს კვლევების თემატიკას 0715 დეტალური სფეროს აღმწერის ფარგლებში, დაკავშირებული მექანიკურ სისტემებთან, ლითონის პროდუქციასთან და მანქანებთან/მოწყობილობებთან.

სწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია - „თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების კრიტიკული ანალიზის და შეფასების საფუძველზე კვლევითი და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის მეტალურგიის ახალი იდეების გენერირება, მათ შორის დისციპლინათაშორის კვლევებში“. რუკაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ამ შედეგის დონე განმტკიცება (3) მიიღწევა კვლევითი კომპონენტით, თუმცა რუკაში აღნიშნული სასწავლო კურსებით შედეგის მიღწევა, დაკავშირებული ინტერდისციპლინურ კვლევებთან რთულია. ინტერდისციპლინურ კვლევებზე გამახვილებულია ყურადღება ასევე სწავლის შედეგში „აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და ინტერდისციპლინური კვლევის სფეროში დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ინოვაციური მეთოდების გათვალისწინებით ამზადებს კვლევით პროექტებს მეტალურგიის სფეროში“. საჭიროა დაზუსტდეს შედეგის მიღწევის გზები დაკავშირებული ინტერდისციპლინარულ კვლევებთან.

მოდულიზირებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ახალი სქემა მეტწილად ასახავს პროგრამის მიზნებს და შედეგებს, ორიენტირებულია სამეცნიერო -პედაგოგიური კადრების, მკვლევარების მომზადებაზე ინჟინერიაში მეტალურგიის სფეროში.

2020 წლიდან მოდიფიცირებული სადოქტორო პროგრამებისათვის მიღებულია პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (დანართი 12). რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების შეფასება (განმტკიცება -3) დოქტორანტურაში განხორციელდეს კვლევითი კომპონენტის შეფასების მიხედვით. პროგრამის კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მიხედვით. დამუშავებულია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები.

პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების (გაცნობა-1, გაღრმავება-2, განმტკიცება -3) მექანიზმი. შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირალედ დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი პერიოდულობით, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს და მეთოდებს, რომელიც სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის დაძლევის საშუალებას იძლევა. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს: – პროგრამის სწავლის შედეგებს და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკას, რაც ცალსახად განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის

გაზომვადი და ასახავს სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს. გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის შედეგების გაზომვისათვის გამოიყენება ინდიკატორები (PI), რომელთა გაზომვა შესაძლებელია სასწავლო კურსების მეშვეობით. PI შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას პირდაპირი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი, მათ შორის სასწავლო კურსის დასკვნითი ან შუალედური გამოცდა, ტესტი, ქვიზი, საშინაო დავალება. მონაცემთა შეგროვება ხდება ორჯერ აკადემიური წლის განმავლობაში. სწავლის შედეგების მონიტორინგი ხორციელდება სამ წელიწადში ერთჯერ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროგრამის ხარისხის უწყვეტი განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

დანართი 14-ში შეცდომითაა წარმოდგენილი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის (არქეოლოგია) სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“, პროგრამის დანართი 1, 2;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“ ;

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ცოდნა და უნარები, რომელსაც კურსდამთავრებული მიიღებს ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანებზე/მოწყობილობებზე;

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაზუსტდეს ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგის მიღწევის გზები;

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეტალურგია“ ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ჩარიცხვის პირობები და საგამოცდო ტესტების ნიმუშები განთავსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები და ა.შ.).

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე -“მეტალურგია“ სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. ასევე უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი ან, უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე სერთიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება.

ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. საფაკულტეტო დროებითი კომისია განიხილავს დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებებს, აწყობს მათთან გასაუბრებას და იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტურაში ჩასარიცხავად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ (სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება მუხლი 5 პ.6) მაგრამ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები.

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

იმისათვის, რომ სწავლის პერიოდში სტუდენტმა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, მას უნდა ჰქონდეს გარკვეულ სფეროში მიღებული განათლება დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე და ეს უნდა აისახოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“;
- ინტერვიუ ვიზიტისას;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში მიენიშნოს ის სფერო(ები) კვალიფიკაციათა ჩარჩოდან, რომელშიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მიღებული განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დოქტორანტურაში ჩასარიცხავად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრებისას;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“ შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. ჩამოყალიბებულია სწავლის 10 შედეგი. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მერვე დონის აღმწერით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“ შემუშავებულია დარგის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი) და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 50 კრედიტს. პირველი სემესტრი ითვალისწინებს სასწავლო კომპონენტების ხუთ სავალდებულო სასწავლო კურსს (30 კრედიტი). მეორე სემესტრი მოიცავს ერთი სასწავლო -სავალდებულო კურსს (10 კრედიტი) და პროფესორის ასისტენტობას (10 კრედიტი). მეორე და შემდგომი სემესტრები ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რომელშიც შედის: კვლევის პროექტის/პროსპექტუსი, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, მეტალურგიული პროცესების მოდელირების სრულფასოვნად შესწავლისათვის, ლითონის პროდუქციის წარმოების მანქანა-დანადგარების პროექტირებისათვის სასწავლო გეგმაში საჭიროა სასწავლო კომპონენტების გათვალისწინება სემინარების ან არჩევითი კურსების სახით, რაც გააფართოვებს სამეცნიერო კვლევის თემატიკას და სრულად უპასუხებს კვალიფიკაციათა ჩარჩოს 0715 დეტალური სფეროს აღმწერს. ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საკითხები არც მაგისტრატურაში და მით უფრო, არც ბაკალავრიატში ფაქტობრივად არ ისწავლება. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი კურსდამთავრებული ლ.ა. ამჟამად მუშაობს ერთ-ერთ კვლევით ინსტიტუტში და დაკავებულია მოდელირების საკითხებით. მას ჰქონდა საუნივერსიტეტო განათლება ფიზიკის სპეციალობით და ინდივიდუალურად შეისწავლა მოდელირების საკითხები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“; • პროგრამის მოდიფიცირების პროცესის დამადასტურებელი ოქმები; • საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია; • შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი; • ინტერვიუ ვიზიტისას
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, მეტალურგიული პროცესების მოდელირების სრულფასოვნად შესწავლისათვის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნას სემინარები ან არჩევითი კურსები;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში არსებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც დასტურდება სწავლის შედეგების რუკაში მოცემული ინფორმაციით. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის აღმწერის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროების, ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები შეესაბამება სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დაფუძნებულია მეტალურგიის დარგში აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას. სილაბუსებში სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბეჭდური ან ელექტრონული სახით.

სასწავლო კურსში მეცნიერული კვლევა მეტალურგიაში ექსპერიმენტულ კვლევებს ეთმობა 4 თემა. ამასთან ერთად მეორდება საკითხები, რომლებიც იკითხება მაგისტრატურაში, კურსში - მეცნიერული კვლევის მეთოდები მეტალურგიაში. ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები, ექსპერიმენტის მეთოდოლოგია, ლაბორატორიული და საწარმოო ექსპერიმენტი უნდა იკითხებოდეს მაგისტრატურაში. ამავე დროს დოქტორანტურაში მეტი ყურადღება დაეთმოს რანდომიზირებულ ბლოკებს, რეგრესიულ მოდელებს, ექსპერიმენტის გეგმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- გამოკითხვის შედეგები;
- სტუ-ს ბიბლიოთეკის კატალოგი

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსის სილაბუსში „მეცნიერული კვლევა მეტალურგიაში“;

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია სასწავლო კურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს მეტალურგიული წარმოების მანქანა/მოწყობილობებს, მათი გაანგარიშების მეთოდებს, ტექნოლოგიური პროცესების მოდელირების საკითხებს და რიცხვითი გაანგარიშების მეთოდებს. <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი დოქტორანტს, მეტალურგიის მიმართულებით არსებული უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევის ჩასატარებლად საჭირო თეორიების, მეთოდების, ხერხების შესახებ შეძენილი ცოდნის საფუძველზე, ჩამოუყალიბებს კვლევითი სამუშაოს წარმართვის პრაქტიკულ უნარჩვევებს. კვლევითი კომპონენტი კონკრეტული პრობლემის სამეცნიერო კვლევის და მიღებული შედეგების რეალიზაციის საფუძველზე, დოქტორანტს გამოუმუშავებს შეძენილი თეორიული და პრაქტიკული უნარჩვევების სამეცნიერო კვლევის პროცესში გამოყენების უნარს.</p> <p>პრაქტიკული კვლევითი უნარების განვითარებისათვის გამოიყენება ფაკულტეტის ბაზაზე და პარტნიორ ორგანიზაციებში არსებული ლაბორატორიული ბაზა. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსი პროფესორის ასისტენტობა შინაარსობრივად მოიცავს პრაქტიკული უნარების განვითარებას პედაგოგიური საქმიანობის კუთხით. გარდა ამისა, დოქტორანტი დებულების თანახმად ამზადებს</p>

სამეცნიერო სტატიებს და იღებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა "მეტალურგია", სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. სტუ-ს დოქტორანტურის დებულების თანახმად, სტუდენტს ევალება: სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი, სულ მცირე სამი სამეცნიერო ტატიის გამოქვეყნება (დადგენილი წესის შესაბამისად); ასევე სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა (მინიმუმ ერთი მოხსენება).

სადოქტორო ნაშრომების მომზადებას ხელმძღვანელობენ დარგის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალი, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში, სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავებაში და მათ საქმიანობას აფასებენ. ვიზიტისას წარმოდგენილია 3 სადისერტაციო ნაშრომი, რომლებშიც შესწავლილია შავი და ფერადი მეტალურგიის აქტუალური პრობლემები. დოქტორანტ თ.ჯ.-ის სადისერტაციო ნაშრომი (ხელმძღვანელი ო.მ.) ეხება თხევადი ფოლადის მიღებიდან მზა ნაკერიანი მილების წარმოებამდე ტექნოლოგიის შემუშავებას და სრულად შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს დეტალური სფეროს აღმწერს. შესრულებულია ექსპერიმენტული კვლევები დეპარტამენტის ბაზაზე და პარტნიორ ორგანიზაციებში.

დოქტორანტ თ.წ. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია რამდენიმე ლიტერატურული წყარო გამოცემული 1950 , 60-იან წლებში თუმცა არსებობს თემატიკის შესაბამისი უფრო თანამედროვე ლიტერატურა.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები, საერთაშორისო მობილობა (სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები - დაფინანსებული ევროკომისიის მიერ, სტუ-ერაზმუს + (Erasmus+) და სხვ.).

დოქტორანტები მიიღებენ აუცილებელ ინფორმაციას თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს სამეცნიერო კონფერენციები;
- https://gtu.ge/Science/research/Scientific_conferences.php;
- ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Ctmf/>;
- საფაკულტეტო საგრანტო კონკურსის დებულება. https://gtu.ge/Ctmf/File/News/2019/sagranto_konkursi/debuleba.pdf;
- ინტერვიუ ვიზიტისას

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა „მეტალურგია“ ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდების გამოყენებით სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე: კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკული, ხელმძღვანელთან კონსულტაცია.</p> <p>სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსების სილაბუსებში: დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური; წერითი მუშაობა; ახსნა-განმარტება; შემთხვევის ანალიზი (Case study); ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;</p> <p>აღნიშნული მეთოდები ერთმანეთს ავსებს. ჩამოთვლილი მეთოდებიდან, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესორი თავად განსაზღვრავს რომელი მეთოდი/მეთოდები გამოიყენოს. სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p> <p>საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია სწავლების დისტანციური ფორმის დანერგვა და შესაბამისი მეთოდების განვითარება, მით უფრო დღეისათვის არსებული შეზღუდვების პირობებში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დისტანციური სწავლების ელემენტები გამოყენებულია.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "მეტალურგია" ; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; • ინტერვიუ ვიზიტისას.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 თანახმად.</p> <p>თითოეული კომპონენტის შეფასების სისტემა და შეფასების მეთოდი დეტალურად</p>

არის გაწერილი კურსების სილაბუსებში. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის. გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუა სემესტრულ შეფასებაში, გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი. თუ შუა სემესტრული შეფასების და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამურმა ქულამ შეადგინა 41-50 (FX შეფასება - ვერ ჩააბარა), სტუდენტს უფლება აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების ქულა არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასების ქულას. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდება სტუდენტთა შეფასების კონტროლი. სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება ხორციელდება ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, შეფასება გამოიყენება როგორც სტუდენტის შედეგების მიღწევის საზომი. მეორე მხრივ, შეფასება გამოიყენება არსებული ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პერიოდულ შეფასებას სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება (პროსპექტუსი, კოლოკვიუმი I, II, III) სასწავლო კურსების ანალოგიურად, კომპონენტის დასრულების შემდეგ დასტურდება სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის მიერ. სემინარის, კოლოკვიუმის შეფასება ხორციელდება კომისიური წესით. თითოეული კოლოკვიუმის კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი აგრძელებს კვლევას. კოლოკვიუმის უაროვითი რეკომენდაციის შემთხვევაში დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს. დოქტორანტის მუშაობა კოლოკვიუმზე ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების (ორი ოფიციალური რეცენზენტის) მონაწილეობა. დისერტაციის დაცვას საპატიო მიზეზით შეიძლება არ ესწრებოდეს ერთ-ერთი ოფიციალური რეცენზენტი, რომელსაც წარდგენილი აქვს დადებითი დასკვნა. დოქტორანტურის დებულების თანახმად (მუხლი 14) სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ტარდება საჯაროდ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ან სადისერტაციო კოლეგიაზე. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის და შედგება სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან.

დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი დისერტაციის შეფასება ხდება დაცვის დამთავრებისთანავე საბჭოს თითოეული წევრის მიერ ფარული კენჭისყრით. დისერტაციის შეფასების ბიულეტენი ითვალისწინებს დადებით შეფასებას (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი) და უარყოფით შეფასებას (არადამაკმაყოფილებელი, სრულიად არადამაკმაყოფილებელი). დადებითი შეფასების მიღებისას დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი- ინჟინერიის დოქტორი მასალათმცოდნეობაში.

2020 წლიდან მოდიფიცირებული სადოქტორო პროგრამებისათვის მიღებულია პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (დანართი

12, დანართი 3). სადაც რეკომენდირებულია, სწავლის შედეგების შეფასება (განმტკიცება) დოქტორანტურაში განხორციელდეს კვლევითი კომპონენტის შეფასების მიხედვით. პროგრამის კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მიხედვით. დამუშავებულია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება და არ არის ნახსენები დისერტაციის საჯარო დაცვა სადისერტაციო კოლეგიაზე, რასაც ითვალისწინებს დოქტორანტურის დებულების მუხლი 14. გარდა ამისა, დანართი 3-ში (პ.3.7) აღნიშნულია, რომ დისერტაციის დაცვა ტარდება საჯაროდ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. დოქტორანტურის დებულების მუხლი 1-ის შესაბამისად სადისერტაციო საბჭო იქმნება სტუ-ს ფაკულტეტზე. ამდენად, გარკვეული უთანხმოებაა ტერმინებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის

ინსტრუქცია;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2018_2019/I/B/info;
- დოქტორანტურის დებულება (დანართი 12)
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (დანართი 12, დანართი 3)
- 2020-2021 წლის აკადემიური კალენდარი - სასწავლო განრიგი;
- სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ ვიზიტისას

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესში (პ.3.7), დაზუსტდეს დისერტაციის საჯარო დაცვა დოქტორანტურის დებულების მუხლი 14-ის შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სტუდენტები მათთვის სასურველ და საჭირო ინფორმაციას/კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების და დასაქმების შესახებ მარტივად იღებენ როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ისე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დახმარებით. ასევე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, იმის შესახებ თუ რამდენად შეესაბამება დადგენილ სტანდარტს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი და მათი სათანადო ადამიანური თუ მატერიალური

რესურსებით უზრუნველყოფა. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. მეტალურგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. ასევე, სტუდენტები სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით ევროპის უნივერსიტეტებში. აღნიშნული დასტურდება ინტერვიუებსა და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სტუდენტთა მიღწევები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“;
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა <https://leqtori.gtu.ge>
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- სტუ-ში აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“
- სტუდენტური ინოვაციური პროექტები <http://ertad.gtu.ge/projects/>
- სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დებულება
- ფაკულტეტის ვებგვერდი <https://gtu.ge/Ctmf/ი>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტთა ხელმძღვანელებთან გასაუბრების და მათი პირადი საქმეების გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ მათი გამოცდილება შეესაბამება დოქტორანტურის საკვლევ თემებს. ისინი აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, მონაწილეობას იღებენ საგრანტო პროექტებში, პერიოდულად აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს და მონოგრაფიებს.

დოქტორანტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი და აქვს კონკრეტული კვლევის თემა, რომელიც მიესადაგება დარგის პრობლემატიკას და თანამედროვე სამეცნიერო გამოწვევებს. სადისერტაციო საბჭომ, დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); მათ შორის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი ან მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობის ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში, აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორანტურის დეპარტამენტში წარადგენს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურებს, რის შემდგომ სტუ-ის რექტორი გამოსცემს ბრძანებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ ხელმძღვანელის ვალდებულებები დეტალურად არის მოცემული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- დოქტორანტების ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/44 9.03.2018 წ.;

• სადოქტორო დისერტაციები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამას “მეტალურგია“ ახორციელებს სტუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც პროგრამაში ჩართულები არიან სტუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად, რომელიც თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის და პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი და საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. პროგრამას ახორციელებს 9 აკადემიური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური პერსონალიდან 5 პროფესორია, 4 ასოცირებული პროფესორი. აღნიშნული აკადემიური პერსონალი აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში არ არის მითითებული ასისტენტი და/ან ასისტენტ-პროფესორი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და შემდგომი დაწინაურებისათვის, ასევე პროგრამის მდგრადობისათვის. ინტერვიუებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდა კადრები ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, თუმცა ეს წარმოდგენილი პროგრამის პაკეტიდან არ ჩანს. ვიზიტის დროს ჩვენ შევხვდით ახალგაზრდა პერსონალს, რომლებიც ამავე მიმართულების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები არიან. მათი ნაწილი მუშაობს სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებში და წარმოადგენენ კარგ რესურსს პროგრამის განვითარებისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია საკმარისი ცოდნა პროგრამის შემუშავებისათვის და მრავალწლიანი გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების შესაბამისი

განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, აქტიურად არის ჩართული პროგრამის შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „მეტალურგია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- განმახორციელებელი პერსონალის CV და სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ განხორციელებაში უზრუნველყოს უფრო მეტი ახალგაზრდა კადრების ჩართვა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მოქმედებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც განახლდა სტუ-ს ავტორიზაციის პროცესში 2018 წელს. პოლიტიკა მოიცავს აფილირებული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ ვალდებულებებს და სამუშაოების შეფასების საკითხებს, ასევე არააფილირებული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის მართვის - შეფასების, პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები გამომდინარეობს მოცემული პოლიტიკიდან.

სტუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის შედეგების შეკრება და შეფასება. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომლებიც უზრუნველყოფენ დეპარტამენტის ყველა თანამშრომლის მიერ წლიური დატვირთვის ინფორმაციისა და ანგარიში შეკრებას და პირველად შეფასებას. შემდგომი შეფასებისათვის ანგარიში გადაეცემა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აფასებს სტუდენტების გამოკითხვის, აკადემიური მოსწრებისა და სემესტრული/წლიური დატვირთვისა და თვითშეფასების მიხედვით ჩატარებული სამუშაოების მიხედვით. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

როგორც ხარისხის სამსახურთან ინტერვიუს დროს აღინიშნა მეტალურგიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის განვითარების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, ხასიათდება აქტივობის მზარდი დინამიკით, თუმცა საჭიროა მეტი ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებსა და განსაკუთრებით, ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, საგამომცემლო საქმიანობასა და საერთაშორისო ტრენინგებში“.

გამომდინარე აქედან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის სამსახურის მხრიდან აქტიური ჩართვაა საჭიროა უფრო მეტი აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგებისა და სხვა აქტივობებში მათი ჩართვის კუთხით. ასევე აქტიური მუშაობა უნდა განხორციელდეს მონიგრაფიების სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების კუთხით.

ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის უცხო ენების ცოდნის ამაღლება, რომლისთვისაც დაწესებულების განაცხადია, რომ იგეგმება თანამშრომლების მიერ უცხო ენის კურსების გავლა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას გაირკვა, რომ ასეთი

აქტივობების დაგეგმვა და ჩატარება მოცემული პროგრამის აკადემიური პერსონალისათვის პრაქტიკულად ჯერ არ განხორციელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV, დიპლომი, სამეცნიერო შრომები და კონფერენციებში მონაწილეობის მონაცემები;
- სტუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
- აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი;
- სტუ-ს დადგენილება „პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პერსონალის ინგლისური ენის შესწავლის კუთხით დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს და ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა (აუდიტორიები, ლაბორატორიები, სასწავლო ინვენტარი, სააქტო დარბაზები, არქივი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული ცენტრები და კლასები) რაოდენობრივად და ხარისხობრივად მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს ემსახურება ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. ცენტრალური ბიბლიოთეკაში მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო დარბაზის, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებით. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილი ოთხი დარბაზი:

- პრესისა და ინფორმაციის დარბაზი (მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო, ტექნიკურ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.);
- წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიების დარბაზი (წიგნადი და საჟურნალო ფონდის ელექტრონული ვერსიების გაცნობა-გამოყენება; ინტერნეტ საიტებით სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოძიება; ბიბლიოთეკათაშორისო შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა უმაღლესი სკოლების ელექტრონული კატალოგების გაცნობა; საერთაშორისო ონლაინ მონაცემთა ბაზებით სარგებლობა; სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება);
- ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი;

ბიბლიოთეკის ბეჭდური და ციფრულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურის მოძიება. სრუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები (Scopus), რომლებიც საშუალებას აძლევენ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში.

სტუდენტებისათვის და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის ყველა რესურსი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ლაბორატორიებისა და აუდიტორიების დათვალიერება. უნდა ითქვას, რომ მათი დიდი ნაწილი საკმაოდ მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ასევე არის მწყობრიდან გამოსული და მის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად საჭიროა გარკვეული რესურსი. ასევე განახლებას საჭიროებს აუდიტორიებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ს და ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა <https://gtu.ge/Library/>;
- საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA" <http://opac.gtu.ge/>

<ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო მონაცემთა ბაზები https://gtu.ge/Library/Databases/ • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოხდეს მატერიალური რესურსების განახლება, სრულყოფა და მოდერნიზება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <p>საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მეტალურგია“ დაფინანსება დამოკიდებულია ფაკულტეტის ბიუჯეტზე. ბიუჯეტი დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (სტუ-ს წესდების მიხედვით). ხარჯებში შემავალი კომპონენტებია: შრომითი ანაზღაურება როგორც საშტატო, ისევე შტატგარე პერსონალისთვის, მივლინების ანაზღაურება, ოფისის/საკანცელარიო ხარჯები და ა.შ. თუმცა არ ჩანს, რომ რომელიმე პროგრამაში იყოს ცალკე გამოყოფილი ფინანსები პერსონალის განვითარებაზე. ასევე არ არის დეტალურად გაწერილი სამეცნიერო სამუშაოებისთვის და განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ამ საკითზე საუბრისას ისინი აღნიშნავენ, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიიღონ თანხები მივლინების, სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა აქტივობებისათვის, რომელიც საჭიროა</p>

მათი განვითარებისათვის. თუმცა წარმოდგენილ ბიუჯეტში ასეთი ტიპის ხარჯები ცალკე გაწერილი არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის "მეტალურგია" ბიუჯეტი;
- ინტერვიუების შედეგები;
- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შეფასება

რეკომენდაციები:

- მოხდეს ფინანსების გამოყოფა ფაკულტეტის ბიუჯეტში პროგრამაში ჩართული პერსონალის უცხო ენების ცოდნის გასაუმჯობესებლად და სხვა ტიპის (მივლინება, კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვ.) დაფინანსების მისაღებად. ასევე პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების		✓		

რესურსებით უზრუნველყოფა				
----------------------------	--	--	--	--

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მუშაობის პროცესში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმებს, რომლის მიზანია სწავლის ხარისხის სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს აკადემიური პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და ყველა შემადგენელი კომპონენტის პერიოდულ მონიტორინგს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას. შეფასება ხორციელდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, დამსაქმებელთა გამოკითხვის გზით, რისთვისაც დამუშავებული და გამოყენებულია შესაბამისი კითხვარები.

პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სტუ-ში გამოიყენება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტები:

„ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს N 01-05-04/261, 23 სექტემბერი 2019 წლის დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს. ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალწინებელ ასპექტებს.

„ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (სტუ-ს აკადემიური საბჭოს N 01-05-04/10817.04.2018 დადგენილების დანართი). დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება, შეფასება, სასწავლო რესურსები, სტუდენტთა მხარდაჭერა და სხვა).

სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის სისწორე პერიოდულად მოწმდება სტუდენტთა რეალური დატვირთვის შესახებ ინფორმაციის შეგროვებით და ანალიზით.

უნივერსიტეტში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც სტუდენტის ინდივიდუალურ მიღწევებს ასახავს. საგანმანათლებლო პროგრამაში

გაწერილია შეფასების პროცედურა, ვადები, შეფასების თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, თითოეულ კომპონენტში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი და ა.შ. ეს მონაცემები ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს თვალყურით ადევნოს საკუთარი შეფასების შედეგებს. სტუდენტს პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტზე მოქმედებს სტუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი აკადემიური პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომელიც ამოწმებს პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული მოწყობილობის, საჭირო ლიტერატურის, ადამიანური რესურსების და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციის და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას.

ფაკულტეტზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობით ხორციელდება პროექტი „სწავლების ევროპული ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარების პერსპექტივები“, რომლის მიზანია ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სწავლა-სწავლების პროცესის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ფაკულტეტზე პერიოდულად მიმდინარეობს სტუდენტთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა, ანალიზი და შეფასება, რომელსაც შიდა ხარისხის სამსახური პროგრამაში ჩართულ პერსნალთან ერთად იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გამართული თეორიული საფუძვლებისა, მოწოდებული ინფორმაციის შესწავლისას ვიზიტის ფარგლებში, ჩატარებული ინტერვიუების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი ასპექტები, მაგალითად: შეფასების პროცესში ხდება მხოლოდ ცალკეული საკითხების შესწავლა, რაც აძნელებს შეფასების პროცესზე კომპლექსური კონტროლის შესაძლებლობას. ამასთან ერთად აუცილებელია პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით მოხდეს მისი კომპლექსური შეფასება (არსებული რესურსების ხარისხი და საკმარისობა, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, პროგრამის განვითარების შესაძლებლობები, გასაუმჯობესებელი ასპექტები, უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების ანალოგიურ პროგრამებთან შედარება და სხვა). განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალურად და ობიექტურად შეფასება მათი მდგომარეობის და უსაფრთხოების გათვალისწინებით.

სტუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა ცალკეული ცვლილებების აუცილებლობა: აკადემიური საბჭოს მიერ 09.03.2018, N01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში შესაცვლელია ჩანაწერი: „სადოქტორო პროგრამის მოცულობა არის 180 კრედიტი (მუხლი 10, პ.10.1). უნივერსიტეტიდან მიღებულ არგუმენტირებულ პასუხებში აღნიშნულია, რომ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის N01-05-04/30 დადგენილებით სადოქტორო

პროგრამის მოცულობა ჩასწორებულია და სასწავლო კომპონენტის მოცულობა განსაზღვრულია არაუმეტეს 60 კრედიტით, თუმცა მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემოწმების შედეგებს სათანადო ანალიზის ჩატარებისათვის აწვდის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სასწავლო დეპარტამენტს. დეპარტამენტი შეიმუშავებს შემჩნეულ ხარვეზთა გამოსასწორებელი ღონისძიების გეგმას და აცნობს დეკანს. დეპარტამენტის მიერ გეგმის შესრულებას აკონტროლებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დეკანატი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება- <http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის № 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- აკადემიური საბჭოს N01-05-04/44 09.03.2018 დადგენილება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ“ <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/brzaneba12.pdf>;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი <http://gtu.ge/quality/>;
- თვითშეფასების ჯგუფის ოქმი. დანართი 4.
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

- მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასება პროგრამის მდგრადობის კუთხით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმი ეფუძნება ავტორიტეტული საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების სახით წარმოდგენილ მნიშვნელოვან პარტნიორული კავშირების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის N65/ნ ბრძანებას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ დებულებას.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის გარე შეფასებას ახორციელებს სსიპ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის N 557 გადაწყვეტილებით სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია და გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით.

ამავე დროს არსებობს ზოგადად მეტალურგიის საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებები, რომლებიც არ აისახა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ არის დოკუმენტალურად დადასტურებული წერილებით. დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, შეიმუშავეს რეკომენდაციები, განიხილეს პროგრამის პროექტი, რაც გახდა დადებითი დასკვნის საფუძველი (შპს „ჯორჯიან მანგანუმი“, „ფ.თავაძის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი“).

მაგრამ, ამავე დროს თვითშეფასების ანგარიშში არ ჩანს ნათლად თუ როგორ ხდებოდა პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიღების შემდგომი პერიოდიდან (2012-2020 წწ.) და რა ცვლილებები განხორციელდა გარე ხარისხის შეფასების შედეგად.

პროგრამის აკადემიური პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებში პროგრამის სრულყოფის მიზნით, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ შეფასების მიზნით პროგრამა გაეგზავნათ პარტნიორ ორგანიზაციებს და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გამოყენებულია პროგრამის შემუშავებისას.

ამავე დროს ინფორმაციის არარსებობის გამო, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად რეგულარულად ხდებოდა პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020 წწ.), როგორი იყო შეფასების პერიოდულობა, ვის მიერ და როგორ შეფასდა პროგრამა, რა რეკომენდაციები იყო შემუშავებული და გათვალისწინებული. ასევე შეუძლებელია იმის დადგენა მონაწილეობდნენ თუ არა

პროგრამის გარე შეფასებაში უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ანალოგიურ ან მსგავს პროგრამებს ახორციელებენ და შედეგად რა ცვლილებები განხორციელდა გარე შეფასების შედეგად. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვანია პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უცხოეთის უნივერსიტეტების მონაწილეობა პროგრამის გარე შეფასებაში ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას (მაგალითად, გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის №421 გადაწყვეტილება;
 - საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის №76 გადაწყვეტილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების თობაზე;
 - დარგის უცხოელი და ქართველი ექსპერტების შეფასებები;
 - პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლების შეფასებები;
 - დანართები;
- . ინტერვიუ ვიზიტისას

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს პერიოდულად, როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და ხარისხის შეფასება კომპლექსურ პროცესად განიხილება და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული რგოლი, როგორც საფაკულტეტო ისე საუნივერსიტეტო დონეზე.

პროგრამაზე მუშაობის პროცესში ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და იძლევა რეკომენდაციებს მისი სრულყოფისათვის.

პროგრამის შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით შექმნილი საფაკულტეტო კომისია, რომელშიც შედიან: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, დეპარტამენტის უფროსები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები.

„სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“-ს დოკუმენტით რეგულირდება პროგრამის შეფასების ეტაპები და თანმიმდევრობა, პროგრამაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით გამოყენებულ გეგმაში მითითებულია შეფასების კრიტერიუმები, ინდიკატორები/მტკიცებულებები, შესასრულებელი დავალებები. პროგრამის შეფასების მექანიზმებში იგულისხმება პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასების შესაძლებლობა, პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხარისხის შეფასება და სხვა.

ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დაინტერესებულ მხარეთა (დოქტორანტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა კითხვარების მეშვეობით, რაც დასტურდება გასაუბრების შედეგებით. თუმცა, დოკუმენტალურად გამოკითხვის შედეგები წარმოდგენილი იყო მხოლოდ ნაწილობრივ.

შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობს სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია. პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების ურთიერთდასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და დახვეწას.

შეფასების პროცესში აქტიურად იყო გამოყენებული გამოკითხვის მეთოდი. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი გამოკითხვის ანალიზი. გაურკვეველია თუ რამდენი სტუდენტი იღებდა გამოკითხვაში მონაწილეობას და ასევე რომელი დამსაქმებლები გამოიკითხნენ. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები ზოგიერთ შემთხვევაში ატარებს არადადამაჯერებელ ხასიათს (მაგ. დანართი 14-ის მონაცემები). საჭიროა დანართი 14-ში წარმოდგენილი მონაცემების ჩასწორება. დოქტორანტების სიმცირის გამო სტუდენტების გამოკითხვა ნაკლებად ეფექტურია.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი პროცესის მიმდინარეობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომლობით მონაწილეობს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების გამჭირვალე კრიტერიუმების მათი რეალიზებისა და განხორციელების კონტროლის მეთოდოლოგიის სრულყოფაში. არსებული მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის და აცნობს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ <https://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php>
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა „მეტალურგია“.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი <http://gtu.ge/quality/>;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან განვითარების ტენდენციის გამოკვეთის მიზნით;
- ჩასწორდეს დანართი 14-ში წარმოდგენილი მონაცემები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მეტალურგია, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ომარ კიკვიძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მამუკა ბენაშვილი 

პარმენ ყიფიანი 

ლექსო ტორიაშვილი 